




თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელო



სარჩევი

შესავალი.....	3
1. მიღებული გამოცდილება.....	4
1.1. პროგრამების სტრუქტურის დახვეწა.....	4
1.2. პროგრამის ხელმძღვანელები.....	4
2. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა.....	6
3. ფინანსური ანალიზი.....	7
4. თავდაცვის პროგრამების სტრუქტურა.....	10
5. პროგრამების აღწერა და პრიორიტეტიზაცია.....	13
5.1. თავდაცვის მართვა (29 01).....	13
5.2. პროფესიული სამხედრო განათლება (29 02).....	16
5.3. ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (29 03).....	19
5.4. მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები (29 04)....	21
5.5. ინფრასტრუქტურის განვითარება (29 05).....	23
5.6. საერთაშორისო სამშვიდობო მისიები (29 06)	24
5.7. სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება (29 07)	25
5.8. თავდაცვის შესაძლებლობის შენარჩუნება / განვითარება (29 08).....	27
5.9. ლოგისტიკური უზრუნველყოფა (29 09)	28
დასკვნა.....	30

შესავალი

თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელო წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც თავდაცვის პროგრამული ბიუჯეტის შემუშავების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრავს საჭირო მითითებებსა და რეკომენდაციებს პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროცესში ჩართული სტრუქტურული ქვედანაყოფებისთვის. სახელმძღვანელო, თავდაცვის სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, ასახავს 2018 წლის საბიუჯეტო პროგრამების შემუშავებისთვის საჭირო პრიორიტეტულ მიმართულებებს და საორიენტაციო ფინანსურ ჭერებს.

სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზის პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დოკუმენტს „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020“. დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების სტრუქტურული, ინსტიტუციური და ოპერატიული განვითარების მიმართულებებს. თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელო ასევე ეყრდნობა „თეთრ წიგნს 2017-2020“ და „საქართველოს თავდაცვის მინისტრის დირექტივებს 2017“ თეთრი წიგნი მოიცავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს 2017-2020 წლებისათვის, ხოლო „საქართველოს თავდაცვის მინისტრის დირექტივების 2017“ დოკუმენტი კი - პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებს საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

დოკუმენტი ითვალისწინებს გასულ წლებში მიღებულ გამოცდილებას და მოიცავს განახლებული პროგრამების სტრუქტურას 2018-2021 წლებისათვის. სახელმძღვანელო ასახავს წინა წლების ფინანსურ ანალიზს, რომლის საფუძველზეც, 2018 წლის პროგრამული ბიუჯეტის შემუშავების მიზნით, განსაზღვრავს საორიენტაციო ფინანსურ ჭერებს თავდაცვის თითოეული პროგრამისთვის. სახელმძღვანელოში ასევე აღწერილია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა, რომლის დანერგვაც ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრის მხარდაჭერით.

სახელმძღვანელო შემუშავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ. შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციები და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების მოთხოვნები. დოკუმენტი მტკიცდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ და განახლდება ყოველწლიურად.

1. მიღებული გამოცდილება

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში რესურსების მართვის სისტემის განვითარების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წინა წლებში მიღებული გამოცდილების ანალიზს, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს არსებული მექანიზმებისა და პროცედურების გადახედვა/განახლების პროცესი.

2017 წლის თავდაცვის ბიუჯეტის ანალიზის საფუძველზე, ცვლილებები შევიდა პროგრამების სტრუქტურაში. ასევე, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მოთხოვნების შესაბამისად, რესურსების მართვისა და ანგარიშგების პროცესში შემუშავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნებისთვის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების განაწილების წესის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება.

1.1. პროგრამების სტრუქტურის დახვეწა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2017 წლის პროგრამული სტრუქტურა, დაგეგმვის ეტაპზე, მოიცავდა 8 პროგრამას. საბოლოო ჯამში, 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტშიც ასახულია 8 პროგრამა, თუმცა გარკვეული ცვლილებებით. დაგეგმვის ეტაპზე, პირველ და მეორე პროგრამად გათვალისწინებული იყო „თავდაცვის მართვა“ და „თავდაცვის შესაძლებლობები“. თუმცა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს რეკომენდაციით აღნიშნული 2 პროგრამა გაერთიანდა ერთ პროგრამაში „თავდაცვის მართვა და შესაძლებლობები“. ხოლო, მე-8 პროგრამად დაემატა „საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაძლიერება“, რომელიც გასულ წელს მოიცავდა ფრანგულ კონტრაქტს საჰაერო თავდაცვის სისტემის შესყიდვის შესახებ.

მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, 2018 წლის პროგრამული სტრუქტურა მოიცავს ყველა იმ პროგრამას, რომელიც დამტკიცდა 2017 წლის თავდაცვის ბიუჯეტით. ასევე, საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) მასშტაბურობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე და უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ლოგისტიკური უზრუნველყოფის ცალკე პროგრამად ჩამოყალიბება. შესაბამისად, 2018 წლის პროგრამების სტრუქტურა 9 პროგრამისგან შედგება.

1.2. პროგრამის ხელმძღვანელები

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო წლების განმავლობაში ახორციელებს თავდაცვის რესურსების მართვის სისტემის განვითარებას, რომელიც მიზნად ისახავს არსებული უსაფრთხოების გარემოს გამოწვევებზე საპასუხოდ, საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ განკარგვას და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რესურსების ხარჯვის ადეკვატური კონტროლისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. 2015 წელს, პირველად საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით დაინიშნა თავდაცვის სამინისტროს პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები - პროგრამის კოორდინატორები, რომლებიც წარმართავენ და კოორდინაციას უწევენ პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას. 2016 წელს, პროგრამის კოორდინატორებმა წარადგინეს მათ პროგრამაში შემავალი ქვეპროგრამების დაგეგმვასა და

განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები - ქვეპროგრამის მენეჯერები, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, პირველად, პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული თითოეული ღონისძიების დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული კონკრეტული პირი.

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის (II თავის (ფინანსური მართვა და კონტროლი) მე-5 მუხლი) და „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №133 (21.03.2017) დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით (N MOD 4 17 00000435 05.06.17წ.) დამტკიცდა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნებისთვის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების განაწილების წესი“.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ჩამოყალიბდა ანგარიშვალდებულების და მენეჯერული კონტროლის სამ დონიანი სისტემა. პროგრამის ხელმძღვანელად განისაზღვრნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეები და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილეები. შემდეგ ეტაპზე განისაზღვრნენ პროგრამის კოორდინატორები, რომლებიც კოორდინაციას უწევენ პროგრამის შემუშავებას და წარადგენენ პროგრამის ხელმძღვანელთან. ქვედა დონეზე დაინიშნენ ბიუჯეტის განმკარგავები, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეპროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებს.

ზემოაღნიშნული ცვლილება, ერთი მხრივ, ხელს უწყობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სისტემის შენარჩუნებას და ამავე დროს, ითვალისწინებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მოთხოვნებს.

2. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის საპილოტე პროგრამაში ჩართვის შესახებ 2016 წლის თებერვალში გამოთქვა მზადყოფნა. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის აუცილებლობა განპირობებულია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების 279-ე მუხლის, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) ანტიკორუფციული ქსელის მესამე რაუნდის ანგარიშში ასახული რეკომენდაციებისა და „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის მიზანია საჯარო რესურსების გამჭვირვალე, ეკონომიური, ეფექტიანი და ეფექტური ხარჯვა, ასევე, ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესება დაწესებულების მიზნების მისაღწევად და დასახული ამოცანების უკეთ შესასრულებლად. სისტემა უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ წესებთან, შიდა პოლიტიკასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებთან. ასევე ფინანსური და ოპერაციული ინფორმაციის თაობაზე სრულყოფილ, ამომწურავ და სანდო ანგარიშგებას და საბიუჯეტო სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას. ფინანსური მართვა და კონტროლი მოიცავს დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებულ როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ პროცესებს, ოპერაციებსა და ქმედებებს.

ფინანსური მართვისა და კონტროლის პროექტის დანერგვა ხორციელდება OECD/SIGMA ექსპერტებისა და ჰარმონიზაციის ცენტრის მხარდაჭერით. აღნიშნულ ექსპერტებთან ერთად შემუშავდა ინსტრუქცია „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ“, რომელიც გულისხმობს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვას პილოტურ რეჟიმში სამ ეტაპად:

- ფინანსური კონტროლი;
- მენეჯერული კონტროლი;
- ფინანსური მართვა.

სისტემის პილოტური პროექტი მოიცავს მენეჯერული ანგარიშვალდებულების, ფინანსური კონტროლის მექანიზმების გაცნობასა და პრაქტიკაში განხორციელების ხელშეწყობას.

3. ფინანსური ანალიზი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტებისა და ბიუჯეტის ფარგლებში გამოყოფილი ფინანსური ასიგნებების ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის დაწესებული ჭერი ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რითაც საქართველოს შეიარაღებული ძალები შეძლებენ დაკისრებული ამოცანების სრულყოფილად შესრულებას. „ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტში 2017-2020 წლებისათვის“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის პროგნოზირებული ჭერი ვერ უზრუნველყოფს იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რაც აუცილებელია საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარებისთვის.

2016 წლის თავდაცვის ბიუჯეტის საკასო შესრულებამ შეადგინა 746 მილიონი ლარი. აქედან 664 მილიონი ლარი არის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი და 82 მილიონი ლარი საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთს შორის საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებისთვის განკუთვნილი თანხა.

თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტში ჭერს ზევით მოთხოვნილი ფინანსური რესურსი ის მინიმუმია, რაც აუცილებელია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნებისა და ეტაპობრივი განვითარებისთვის. ვინაიდან საპროგნოზო მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდა არ არის ნავარაუდები, „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის“ დოკუმენტის შესაბამისად, განხორციელდა სტრუქტურული ოპტიმიზაცია, რომლის შედეგად გამოთავისუფლებული თანხები მიემართება საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაუმჯობესებისკენ.


2017 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში ოპტიმიზაციის შედეგად გამოთავისუფლებული 33 მილიონი ლარის უმეტესი ნაწილი მოხმარდება საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამას (GDRP). ბიუჯეტის ეკონომიის შედეგად გამოთავისუფლებული თანხის მეორე ნაწილი, მიმართული იქნება ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რომლის მიზნობრიობა ასევე განპირობებულია საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის უზრუნველსაყოფად.

2017 წლის, ისევე როგორც 2016 წლის თავდაცვის ბიუჯეტი, 8 პროგრამისგან შედგება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პროგრამული სტრუქტურის გასაუმჯობესებლად 2018 წლისთვის პროგრამას - თავდაცვის მართვა (2901) გამოეყო ლოგისტიკური უზრუნველყოფის ხარჯები და ჩამოყალიბდა ცალკე პროგრამად - ლოგისტიკური უზრუნველყოფა (2909). მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ადმინისტრაციული, ლოგისტიკური და კომუნალური ხარჯების განცალკევება და გადანაწილება სხვადასხვა პროგრამებში. ადმინისტრაციული ხარჯი დარჩა თავდაცვის მართვის პროგრამაში, ხოლო ლოგისტიკური უზრუნველყოფის და კომუნალური ხარჯები გადავიდა ლოგისტიკური უზრუნველყოფის პროგრამაში. აღნიშნულის შედეგად, უფრო გამარტივდება ბიუჯეტის დაგეგმვის, აღსრულებისა და ანალიზის პროცესი. თავდაცვის ძირითადი მიმართულებების პროგრამების მიხედვით დაყოფა უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის მაქსიმალურ ინფორმირებას რესურსების მიზნობრივ დაგეგმვასთან და შემდგომ აღსრულებასთან დაკავშირებით პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად.

ქვევით მოცემულია ინფორმაცია 2014-2018 წლების საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ თავდაცვის სამინისტროს მიერ ჭერს ზემოთ მოთხოვნის, ბიუჯეტის

ფაქტიური შესრულების, სამთავრობო ფონდის და საგარეო სამხედრო ფონდის (FMF) მაჩვენებლის გათვალისწინებით (ცხრილი N1) და 2016-2021 წლებში თავდაცვის ძირითად პროგრამებზე ფინანსების განაწილებასთან დაკავშირებით (ცხრილი N2).

ცხრილი N1 - თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი (მილიონი ლარი) 2014-2018 წლები
(ფ-ფაქტიური შესრულება, გ-დამტკიცებული გეგმა, კ-საპროგნოზო მაჩვენებელი)



ცხრილი N2 - თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 2016-2021 წლები


(ფ-ფაქტიური შესრულება, გ-დამტკიცებული გეგმა, პ-საპროგნოზო მაჩვენებელი)

კოდი	პროგრამის დასახელება	2016	2017	2018	2019	2020	2021
		(ფ)	(გ)	(პ)	(პ)	(პ)	(პ)
		მილიონი ლარი					
29 01	თავდაცვის მართვა	355.00	308.40	304.83	304.83	304.83	304.83
29 02	პროფესიული სამხედრო განათლება	44.10	43.10	42.64	42.64	42.64	42.64
29 03	ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	49.40	53.80	53.80	53.80	58.46	53.80
29 04	მართვის, კონტროლის, კ/გაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები	8.10	10.70	6.56	6.56	6.56	6.56
29 05	ინფრასტრუქტურის განვითარება	19.90	32.10	21.00	21.50	21.50	21.50
29 06	საერთაშორისო სამშვიდობო მისიები	39.00	35.30	35.27	35.27	35.27	35.27
29 07	სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება	35.20	28.30	28.32	28.32	28.32	28.32
29 08	თავდაცვის შესაძლებლობების შენარჩუნება/განვითარება	82.40	78.00	98.12	52.47	72.26	72.44
29 09	ლოგისტიკური უზრუნველყოფა	114.00	158.40	155.16	154.61	150.16	154.64
		747.10	748.10	745.70	700.00	720.00	720.00

4. თავდაცვის პროგრამების სტრუქტურა

თავდაცვის რესურსების მართვის სისტემის ფარგლებში შემუშავდება თავდაცვის პროგრამები, რომელიც წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პროგრამული ბიუჯეტის საფუძველს. საქართველოს სახელმწიფო საბიუჯეტო პრიორიტეტების გათვალისწინებით, „თეთრი წიგნი“ აღწერს საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს, რომელიც წარმოადგენს თავდაცვის პროგრამების საფუძველს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია ურთიერთკავშირი საბიუჯეტო პრიორიტეტებს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიულ მიმართულებებსა და თავდაცვის პროგრამებს შორის.

ცხრილი 3: საბიუჯეტო პრიორიტეტების, თავდაცვის დაგეგმვის დოკუმენტებში ასახული პრიორიტეტული მიმართულებების და პროგრამული სტრუქტურის ურთიერთკავშირი



2018 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემასთან კიდევ უფრო შესაბამისობის მიზნით, პროგრამის სტრუქტურის ფარგლებში განისაზღვრა თითოეული პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის კოორდინატორი და ბიუჯეტის განმკარგავი.

ცხრილი 4: პროგრამები, პროგრამის ხელმძღვანელები და ბიუჯეტის განმკარგავები

კოდი	პროგრამის / ქვეპროგრამის დასახელება	ფუნქცია-მოვალეობა	თანამდებობა
2901	თავდაცვის მართვა	პროგრამის ხელმძღვანელი	თავდაცვის მინისტრის მოადგილე
		პროგრამის კოორდინატორი	ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსი
2901-01	თავდაცვის ადმინისტრირება	ბიუჯეტის განმკარგავი	
2901-02	საერთაშორისო ურთიერთობები	ბიუჯეტის განმკარგავი	საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი
2901-03	საზოგადოებასთან ურთიერთობები	ბიუჯეტის განმკარგავი	სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი
2902	პროფესიული სამხედრო განათლება	პროგრამის ხელმძღვანელი	თავდაცვის მინისტრის მოადგილე
		პროგრამის კოორდინატორი	J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის უფროსი
2902-01	დაწყებითი სამხედრო მომზადება	ბიუჯეტის განმკარგავი	სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორი
2902-02	სამხედრო განათლება	ბიუჯეტის განმკარგავი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი
2902-03	პროფესიული განვითარება	ბიუჯეტის განმკარგავი	სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის დირექტორი
2902-04	სპეციალისტების მომზადება და შეფასება	ბიუჯეტის განმკარგავი	წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდალი
2902-05	სასწავლო კურსები	ბიუჯეტის განმკარგავი	ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი
2903	ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	პროგრამის ხელმძღვანელი	თავდაცვის მინისტრის მოადგილე
		პროგრამის კოორდინატორი	სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი
2903-01	სამედიცინო სერვისების გაუმჯობესება	ბიუჯეტის განმკარგავი	სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის დირექტორი
2903-02	სოციალური უზრუნველყოფა	ბიუჯეტის განმკარგავი	ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსი
		ბიუჯეტის განმკარგავი	სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის უფროსი
2903-03	ჯანდაცვა და სამედიცინო მხარდაჭერა	ბიუჯეტის განმკარგავი	სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი
2904	მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები	პროგრამის ხელმძღვანელი	თავდაცვის მინისტრის მოადგილე
		პროგრამის კოორდინატორი	J-6 კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტის უფროსი
2904-01	კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა	ბიუჯეტის განმკარგავი	სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიუროს დირექტორის მ.შ.
2904-02	კ/გაბმულობა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება	ბიუჯეტის განმკარგავი	საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი
		ბიუჯეტის განმკარგავი	J-6 კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტის უფროსი
2905	ინფრასტრუქტურის განვითარება	პროგრამის ხელმძღვანელი	გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე
		პროგრამის	J-4 ლოგისტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის

		კოორდინატორი	უფროსი
		ბიუჯეტის განმკარგავი	ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდალი
		ბიუჯეტის განმკარგავი	1-4 ლოგისტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი
2906	საერთაშორისო სამშვიდობო მისიები	პროგრამის ხელმძღვანელი	გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე
		პროგრამის კოორდინატორი	1-3 ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი
		ბიუჯეტის განმკარგავი	
2907	სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება	პროგრამის ხელმძღვანელი	თავდაცვის მინისტრის მოადგილე
		პროგრამის კოორდინატორი	სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“-ს აღმასრულებელი დირექტორი
2907-01	სამხედრო სამრეწველო კომპლექსის განვითარება	ბიუჯეტის განმკარგავი	სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის დირექტორი
2907-02	სამეცნიერო კვლევა სამთო ინჟინერიაში	ბიუჯეტის განმკარგავი	სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის დირექტორი
2907-03	სამეცნიერო კვლევა გამოყენებით ფიზიკაში, ფიზიკურ ქიმიასა და ელექტრონიკაში	ბიუჯეტის განმკარგავი	სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა - ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი
2907-04	სამეცნიერო კვლევა მანქანათმშენებლობაში	ბიუჯეტის განმკარგავი	სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი
2907-05	სამეცნიერო კვლევა გამოყენებით ოპტიკაში	ბიუჯეტის განმკარგავი	სსიპ ინსტიტუტი ოპტიკას დირექტორი
2907-06	სამეცნიერო კვლევა მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობაში	ბიუჯეტის განმკარგავი	სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი
2907-07	სამეცნიერო კვლევა მიკრო და ნანო ელექტრონულ ტექნოლოგიაში	ბიუჯეტის განმკარგავი	სსიპ მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტის დირექტორი
2908	თავდაცვის შესაძლებლობების შენარჩუნება / განვითარება	პროგრამის ხელმძღვანელი	გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე
		პროგრამის კოორდინატორი	1-5 სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი
2908-01	საჰაერო თავდაცვის სისტემის განვითარება	ბიუჯეტის განმკარგავი	ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდალი
2908-02	საბრძოლო მხარდაჭერის შესაძლებლობების შენარჩუნება / განვითარება	ბიუჯეტის განმკარგავი	
		ბიუჯეტის განმკარგავი	სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი
2909	ლოგისტიკური უზრუნველყოფა	პროგრამის ხელმძღვანელი	გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე
		პროგრამის კოორდინატორი	1-4 ლოგისტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი
2909-01	ლოგისტიკის მართვა	ბიუჯეტის განმკარგავი	ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდალი
2909-02	ლოგისტიკური მხარდაჭერა	ბიუჯეტის განმკარგავი	1-4 ლოგისტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი
		ბიუჯეტის განმკარგავი	ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდალი
2909-03	საბრძოლო მზადყოფნის (GDRP) ლოგისტიკური უზრუნველყოფა	ბიუჯეტის განმკარგავი	1-4 ლოგისტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი

5. პროგრამების აღწერა და პრიორიტეტიზაცია

თავდაცვის პროგრამების და ქვეპროგრამების პრიორიტეტიზაცია განხორციელდება ეროვნული და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიულ დოკუმენტებში განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად. ასევე, გათვალისწინებული იქნება ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემებით დადგენილი ძირითადი კრიტერიუმები და მათი აღსრულებისთვის აუცილებელი ხელმისაწვდომი ფინანსური ჭერები.

მოცემულ თავში აღწერილია თითოეული პროგრამის ფარგლებში შემავალი ქვეპროგრამები, ქვეპროგრამების სავალდებულო ხარჯები, პრიორიტეტები საბიუჯეტო და მომდევნო სამი წლისთვის, აშშ-ის საგარეო ფონდის (FMF) უზრუნველყოფილი ღონისძიებები და სამთავრობო ფონდით დაფინანსებული ღონისძიებები.

5.1 თავდაცვის მართვა (29 01)

თავდაცვის ადმინისტრირება (2901-01) ქვეპროგრამის მიზანია საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მიერ განსაზღვრული ქვეყნის შიდა და გარე პოლიტიკის მხარდასაჭერად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა. ეფექტიანი ადმინისტრირების განსახორციელებლად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული მართვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვა.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პირების, ოფიცრების, სამხედრო-საკონტრაქტო და სამხედრო-სავალდებულო მოსამსახურეების და რეზერვისტების (გარდა წვრთნებისა და სამხედრო განათლების და ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობების პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯები) საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებულ ხარჯებს (შრომის ანაზღაურება და არაკლასიფიცირებული ხარჯები, ექსპერტიზის და შემოწმებების ხარჯი), ასევე, შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებას და პერსონალის ქვეყნის შიგნით მივლინების ხარჯებს.

საერთაშორისო ურთიერთობები (2901-02) ქვეპროგრამა მოიცავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ღონისძიებებს პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დიპლომატიური (სამოქალაქო და სამხედრო) წარმომადგენლების მხარდაჭერას, თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის ორგანიზებას, შეიარაღების კონტროლის და ვერიფიკაციის ღონისძიებების განხორციელებას.

დეტალურად, ქვეპროგრამა მოიცავს ნატოსთან თანამშრომლობას არსებული მექანიზმების აქტიური გამოყენებით, მათ შორის ნატოსთან აღებული საერთაშორისო ვალდებულებების წარმატებით შესრულებას და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ინიციატივების განხორციელებას, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს, ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში განსაზღვრული ევროკავშირი-საქართველოს სამუშაო გეგმის განხორციელების ღონისძიებებს. ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს

შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის თანამდებობის პირების სამუშაო და/ან ოფიციალურ ვიზიტებს.

უეთოსთან თანამშრომლობის ფარგლებში გათვალისწინებულია „ვენის 2011 წლის დოკუმენტის“, „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ“ და „ღია ცის“ ხელშეკრულებებით განსაზღვრული ღონისძიებების/ინსპექციების შესრულება.

საზოგადოებასთან ურთიერთობები (2901-03) - ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას და ცნობიერების ამაღლებას.

ქვეპროგრამა მოიცავს სტრატეგიული კომუნიკაციების და საზოგადოებასთან ურთიერთობის (რეკლამის, ბილბორდის, მაუწყებლობის და სხვა კომუნიკაციური ტიპის მომსახურების, სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების, ასევე კულტურული და საგამოფენო) ღონისძიებებს, ასევე ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შექმნას და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ღონისძიებების განხორციელებას, ფოტო-ვიდეო აპარატურისა და სხვა სახის ტექნიკის შექმნას.

კოდი	დასახელება	2016	2017	2018	2019	2020	2021
		(ფ)	(გ)	(პ)	(პ)	(პ)	(პ)
		მილიონი ლარი					
2901	თავდაცვის მართვა	355.00	308.39	304.83	304.83	304.83	304.83
2901-01	თავდაცვის ადმინისტრირება	344.94	300.05	296.81	296.81	296.81	296.81
2901-02	საერთაშორისო ურთიერთობები	9.18	7.94	7.64	7.64	7.64	7.64
2901-03	საზოგადოებასთან ურთიერთობები	0.88	0.40	0.38	0.38	0.38	0.38

სავალდებულო ხარჯები

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო ხარჯები მოიცავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის, სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ და დასავლეთ სარდლობების, ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის, სპეციალური ოპერაციების ძალების, ეროვნული გვარდიის, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტისა და სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის პერსონალის შრომის ანაზღაურებას, ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი შტატგარეშე მოსამსახურეების ფულად სარგოს.

საგარეო სამხედრო ფონდი (FMF)

აშშ-ის საგარეო სამხედრო ფონდით ფინანსდება ამერიკელი კონტრაქტორი კომპანიის (Cubic Application inc) თავდაცვის ტრანსფორმაციის ჯგუფი, რომელიც ფოკუსირდება სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაზე, თავდაცვის დაგეგმვაზე, პროფესიულ სამხედრო განათლებაზე, ლოგისტიკასა და რესურსების მართვაზე.

საბიუჯეტო (2018) და შემდეგი სამი წლის (2019-2021) სახელმძღვანელო პრიორიტეტები

სავალდებულო ხარჯებს მიღმა სახელმძღვანელო პრიორიტეტებად განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებები:

1. უწყებათაშორისი თანამშრომლობის ღონისძიებები (დიდგორი);
2. ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ღონისძიებები, მათ შორის ვიზიტები და მივლინებები;
3. საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენცია;
4. საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება.

5.2 პროფესიული სამხედრო განათლება (29 02)

დაწყებითი სამხედრო მომზადება (2902-01) მოიცავს სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის სრულ ბიუჯეტს. ლიცეუმის ბიუჯეტი ითვალისწინებს როგორც პერსონალის, ასევე შესაძლებლობების შენარჩუნების ხარჯებს. ქვეპროგრამა უზრუნველყოფს კადეტების ზოგად განათლებასა და დაწყებით სამხედრო მომზადებას, რაც საჭიროებს ყოველწლიურად მათი საცხოვრებელი პირობებით, მკურნალობით, კვებით, უნიფორმითა და სასწავლო ინვენტარით უზრუნველყოფას. შესაბამისად, მოთხოვნების გაზრდის შემთხვევაში, საჭირო იქნება დაფინანსების ჭერის ფარგლებში მოთხოვნათა პრიორიტეტულობის განსაზღვრა.

სამხედრო განათლება (2902-02) მოიცავს სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიუჯეტს. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ოფიცრის საწყისი სამხედრო და უმაღლესი აკადემიური (ბაკალავრი) განათლების (პირველი საფეხური), ოფიცრის შუალედური სამხედრო (სამეთაურო-სამტაბო) განათლების, უმაღლესი აკადემიური (მაგისტრი) განათლების (მე-2 საფეხური) და უცხო ენების სწავლების უზრუნველყოფას, ასევე ეფექტიანი საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას. ქვეპროგრამა მოიცავს უცხოეთის სამხედრო და სამოქალაქო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას და პარტნიორი ქვეყნებიდან ინსტრუქტორების მოწვევას; მსმენელების/იუნკერების, პროფესორ-მასწავლებლების/ინსტრუქტორების სტაჟირება-მივლინების ორგანიზებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. ქვეპროგრამაში ასევე შედის სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიზნების განხორციელებისთვის მატერიალურ-ტექნიკური საკითხების უზრუნველყოფა.

პროფესიული განვითარება (2902-03) მოიცავს სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის (DIB) სკოლის სრულ ბიუჯეტს, რომელიც ითვალისწინებს როგორც პერსონალის შრომის ანაზღაურების და შესაძლებლობების შენარჩუნების ხარჯებს ასევე, არსებული შესაძლებლობების განვითარებისა თუ მოდერნიზაციისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებსაც.

ქვეპროგრამა უზრუნველყოფს სპეციალიზებული მოკლე და გრძელვადიანი კურსების, ტრენინგების, საინფორმაციო და საკონსულტაციო პროგრამების, ლექცია-სემინარების, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების ფორმატის შეხვედრების, დისკუსიების, კონფერენციების ჩატარებას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის, სამოქალაქო და უსაფრთხოების სექტორის სხვა წარმომადგენლებისთვის.

სპეციალისტების მომზადება და შეფასება (2902-04) ქვეპროგრამა მოიცავს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯებს. ქვეპროგრამაში გათვალისწინებული სტრუქტურული ქვედანაყოფი ახორციელებს პროფესიული სამხედრო განათლების უზრუნველყოფას და ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური სამხედრო მოსამსახურეების, ოფიცრის ძირითად სამხედრო (მე-2 საფეხური - კაპიტნის საკარიერო) განათლებას, ლიდერების და სპეციალისტების ჩამოყალიბებას. კერძოდ, საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო, საბრძოლო მხარდაჭერისა და საბრძოლო უზრუნველყოფის ქვედანაყოფების

ასეულის და ბატალიონის, შემდგომში ბრიგადის დონის ქვედანაყოფების შეფასებას; საქართველოს შეიარაღებულ ძალებში რეკრუტებისთვის საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) კურსის ჩატარებას; რიგითების და კაპრალების მომზადებას ძირითადი სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობების შესაბამისად; სერჟანტთა კორპუსის მომზადებას სერჟანტთა მომზადების ძირითად, შუალედურ, უფროსი სერჟანტის და სერჟანტთა მომზადების სამეთაურო-სამტაბო კურსებზე; ქართული, ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეების სამთო მომზადებას.

სასწავლო კურსები (2902-05) მოიცავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს შეიარაღებული ძალების პერსონალის მონაწილეობას პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის ყოველწლიურ გეგმებსა და ნატო-ს საწვრთნელ/სასწავლო დაწესებულებებში ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში.

ქვეპროგრამა მოიცავს პროფესიული განვითარების სასწავლო კურსებს ქვეყნის გარეთ, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო მოსამსახურეთათვის. აღნიშნული ქვეპროგრამების ხარჯები, როგორც წესი სტანდარტულია (30% სამივლინებო) და ემსახურება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებას.

კოდი	დასახელება	2016	2017	2018	2019	2020	2021
		(ფ)	(გ)	(ვ)	(ვ)	(ვ)	(ვ)
მილიონი ლარი							
2902	პროფესიული სამხედრო განათლება	44.12	43.12	42.64	42.64	42.64	42.64
2902-01	დაწყებითი სამხედრო მომზადება	2.81	3.16	3.16	3.16	3.16	3.16
2902-02	სამხედრო განათლება	14.77	14.31	13.57	13.57	13.57	13.57
2902-03	პროფესიული განვითარება	0.09	0.87	1.00	1.00	1.00	1.00
2902-04	სპეციალისტების მომზადება და შეფასება	25.44	24.12	24.25	24.25	24.25	24.25
2902-05	სასწავლო კურსები	1.00	0.67	0.67	0.67	0.67	0.67

სავალდებულო ხარჯები

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო ხარჯები მოიცავს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის პერსონალის შრომის ანაზღაურებას და საზღვარგარეთ სასწავლო კურსებში მონაწილე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეების სამივლინებო ხარჯებს.

საგარეო სამხედრო ფონდი (FMF)

აშშ-ის საგარეო სამხედრო ფონდით ფინანსდება ამერიკელი კონტრაქტორი კომპანიის General Dynamics Information Technologies (DGIT) მრჩეველთა ჯგუფი, რომელიც სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიას დახმარებას უწევს საბაკალავრო კურსის და კაპიტნის საკარიერო კურსის ჩამოყალიბებაში. ჯგუფი, ასევე კონსულტაციებს უწევს აკადემიის ხელმძღვანელობას.

FMF-ით ასევე ფინანსდება ამერიკელი კონტრაქტორი კომპანიის Cubic Application inc-ის მეორე ჯგუფი, რომელიც დახმარებას უწევს სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიას სამეთაურო-საშტაბო კურსის (CGSC) ჩამოყალიბებაში. დამატებით, ჯგუფის წევრები კითხულობენ ლექციებს და კონსულტაციას უწევენ კოლეჯის ქართველ ინსტრუქტორებს. ხოლო Cubic Application inc-ის მესამე ჯგუფი დახმარებას უწევს ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრს (JTEC) გაერთიანებული კონფლიქტებისა და ტაქტიკური სიმულაციების პროგრამის (JCATS) და ტაქტიკური სიმულაციური საშუალებების (MILES) გამოყენება-უზრუნველყოფაში.

საბიუჯეტო (2018) და შემდეგი სამი წლის (2019-2021) სახელმძღვანელო პრიორიტეტები

მომავალი წლების სავარაუდო დაფინანსების გათვალისწინებით, თითოეულ ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია მხოლოდ შენარჩუნების ხარჯები:

1. სპეციალიზაციისა და სასწავლო კურსების უზრუნველყოფა;
2. სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შესაძლებლობების შენარჩუნება;
3. სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის შესაძლებლობების შენარჩუნება;
4. სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის შესაძლებლობების შენარჩუნება.

5.3 ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (29 03)

სამედიცინო სერვისების გაუმჯობესება (2903-01) მოიცავს სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის სრულ ბიუჯეტს (შრომის ანაზღაურება და შენარჩუნების ხარჯები). ჰოსპიტალი ასევე იღებს დამატებით შემოსავალს სამოქალაქო პაციენტების გადასახადებისაგან.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეების საბაზისო სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფას. პაციენტთა მკურნალობის შედეგების ანალიზის საფუძველზე, მკურნალობის ხარისხის და ეფექტურობის ამდლების ღონისძიებების შემუშავებას და გატარებას. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთათვის, პენსიონერებისათვის (საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან დათხოვნილი კომპენსაციის/პენსიის მიმღები სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეები), მათი ოჯახის წევრებისათვის, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებისათვის, სამოქალაქო პირებისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. ამბულატორულ, სტაციონარულ მკურნალობას, სამედიცინო რეაბილიტაციას და დისპანსერიზაციას; სამხედრო-საექიმო კომისიის ორგანიზებას და ჩატარებას.

სოციალური უზრუნველყოფა (2903-02) მოიცავს საქართველოს შეიარაღებული ძალების საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეთა მეორე და მომდევნო კონტრაქტის ფინანსურ დახმარებას, სამედიცინო კომისიის დასკვნის შედეგად გაცემულ ერთჯერად ფინანსურ დახმარებებს და დაღუპულ მოსამსახურეთა ოჯახებზე, ასევე, დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებზე გასაცემ ფულად დახმარებებს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დაჭრილ/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის ღონისძიებებს და ამპუტირებულთა რეაბილიტაციის პროგრამას და მათთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად საჭირო სპორტული ინვენტარისა და აღჭურვილობის შექმნას.

ქვეპროგრამაში გაერთიანებულია სამხედრო სამსახურში, სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სამინისტროს სისტემის ქვედანაყოფებში მისაღები კანდიდატების, მისიაში წამსვლელი, მისიიდან დაბრუნებული პერსონალის ფსიქოლოგიური შერჩევა/მონიტორინგის, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის, სუიციდის პრევენციის ფარგლებში ფსიქოლოგიური შემოწმების, დაჭრილ/დაშავებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის, გრძელვადიან სამკურნალო შვებულებაში მყოფი დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების ფსიქოლოგიური სკრინინგის ღონისძიებები.

ჯანდაცვა და სამედიცინო მხარდაჭერა (2903-03) ქვეპროგრამა მოიცავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეების და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევას სრულად (მედიკამენტების ანაზღაურება - 70%-ის ოდენობით).

ქვეპროგრამის მიზანია სამხედრო სამედიცინო მხარდაჭერის როლი-1 და როლი-2 დონეების მედიკამენტებით და სამედიცინო ხარჯვადი მასალებით უზრუნველყოფა და მათი მარაგების შევსება, აგრეთვე მოძველებული სამედიცინო აღჭურვილობის ეტაპობრივი ჩანაცვლება, განახლება და შევსება თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

კოდი	დასახელება	2016	2017	2018	2019	2020	2021
		(ფ)	(გ)	(პ)	(პ)	(პ)	(პ)
მილიონი ლარი							
2903	ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	49.39	53.76	53.80	53.80	58.46	53.80
2903-01	სამედიცინო სერვისების გაუმჯობესება	7.05	6.54	6.54	6.54	6.54	6.54
2903-02	სოციალური უზრუნველყოფა	30.17	25.01	24.15	24.15	28.81	24.15
2903-03	ჯანდაცვა და სამედიცინო მხარდაჭერა	12.17	22.21	23.11	23.11	23.11	23.11

სავალდებულო ხარჯები

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო ხარჯები მოიცავს საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო-საკონტრაქტო მოსამსახურეების მე-2 და შემდგომი კონტრაქტის ერთჯერად დახმარებას. ასევე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯებს, საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების სამედიცინო აღჭურვილობით, ტექნიკით და ხარჯვადი მასალებით უზრუნველყოფას.

საგარეო სამხედრო ფონდი (FMF)

აშშ-ის საგარეო სამხედრო ფონდით ხორციელდება წეროვანში მდებარე სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობა და მისი აღჭურვა თანამედროვე სამედიცინო-სარეაბილიტაციო აპარატურით, რომელიც მოემსახურება დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს.

საბიუჯეტო (2018) და შემდეგი სამი წლის (2019-2021) სახელმძღვანელო პრიორიტეტები

1. არსებითი სამედიცინო მედიკამენტების და სამედიცინო მარაგების შესყიდვა მათი მოთხოვნის საფუძველზე;
2. სამედიცინო აპარატურის და აღჭურვილობის შეძენა;
3. დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია;
4. დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებისთვის საჭირო სპორტული აღჭურვილობა და ინვენტარი;
5. სამედიცინო-საევაკუაციო ავტომანქანების შეძენა;
6. სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის დაფინანსების შენარჩუნება საქართველოს შეიარაღებული ძალების პერსონალის სათანადო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის მიზნით.

5.4 მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები (29 04)

კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა (2904-01) წარმოადგენს სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიუროს სრულ ბიუჯეტს. ქვეპროგრამა მოიცავს კიბერთავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებას, ცნობიერების ამაღლებას და ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შემავალი კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების უსაფრთხო და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

კავშირგაბმულობა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება (2904-02) ითვალისწინებს კავშირგაბმულობის და ინფორმაციული სისტემების განვითარებას შეიარაღებული ძალების მართვისა და კონტროლის სისტემის მხარდასაჭერად. ქვეპროგრამა, ასევე მოიცავს კავშირგაბმულობის სერვისებს, ინტერნეტსა და საფოსტო მომსახურებას. საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით გათვალისწინებულია დამატებითი სტანდარტებისა და წესების შემუშავება და დანერგვა.

ქვეპროგრამაში ასევე გაერთიანებულია პროგრამების, ლიცენზიების, პერსონალური კომპიუტერების, სერვერების, პრინტერებისა და კარტრიჯების, უწყვეტი კვების წყაროების და ყველა სახის კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით, ქვეპროგრამა მოიცავს დამატებითი სტანდარტებისა და წესების შემუშავებას და დანერგვას, ასევე ERP სისტემის მოდულებსა და სხვადასხვა პროგრამულ უზრუნველყოფას, რაც გულისხმობს ადამიანური რესურსების მართვის, ფინანსების, აქტივების, ავტოპარკის, ლოგისტიკური და სხვა პრიორიტეტული ბიზნეს პროცესების ელექტრონული საადრიცხო სისტემების შემუშავებას და დანერგვას.

კოდი	დასახელება	2016	2017	2018	2019	2020	2021
		(ფ)	(გ)	(პ)	(პ)	(პ)	(პ)
		მილიონი ლარი					
2904	მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები	8.14	10.70	6.56	6.56	6.56	6.56
2904-01	კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა	1.63	1.20	1.50	1.50	1.50	1.50
2904-02	კავშირგაბმულობა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება	6.51	9.50	5.06	5.06	5.06	5.06

სავალდებულო ხარჯები

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო ხარჯები მოიცავს სატელეფონო და მობილური კავშირის, ინტერნეტისა და საფოსტო მომსახურებას.

საგარეო სამხედრო ფონდი (FMF)

აშშ-ის საგარეო სამხედრო ფონდის ფარგლებში ხორციელდება საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამაში (GDRP) მონაწილე საბრძოლო ქვედანაყოფებისათვის ტაქტიკური კავშირგაბმულობის აღჭურვილობის შესყიდვა.

საბიუჯეტო (2018) და შემდეგი სამი წლის (2019-2021) სახელმძღვანელო პრიორიტეტები

- ხელის და ზურგის რადიოსადგურების აკუმულატორები;
- ქსელური კავშირის უზრუნველყოფა;
- ERP-სისტემის და სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა/განვითარება;
- რადიოსადგურების აქსესუარები;
- საველე სატელეფონო კავშირები;
- საინფორმაციო სისტემების შენარჩუნებისა და განახლების დაფინანსება.

5.5 ინფრასტრუქტურის განვითარება (29 05)

პროგრამა მოიცავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების ტერიტორიაზე განთავსებული ინფრასტრუქტურის, კერძოდ კვების ობიექტების, საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა-ნაგებობების, საწვრთნელი ინფრასტრუქტურის, საცხოვრებელი ბინების, საინჟინრო კომუნიკაციების და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის შენარჩუნებისა და განვითარების ხარჯებს.

კოდი	დასახელება	2016	2017	2018	2019	2020	2021
		(ფ)	(გ)	(პ)	(პ)	(პ)	(პ)
		მილიონი ლარი					
29 05	ინფრასტრუქტურის განვითარება	19.93	32.07	21.00	21.50	21.50	21.50

სავალდებულო ხარჯები

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო ხარჯები მოიცავს საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებს.

საბიუჯეტო (2018) და შემდეგი სამი წლის (2019-2021) სახელმძღვანელო პრიორიტეტები

1. საწვრთნელი ინფრასტრუქტურა (ტირები, სასროლეთები და პოლიგონები);
2. კვების ობიექტების (სასადილოები, საკვებები, საკლორატოროები, არტეზიული ჭები და წლის ავზები);
3. საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა-ნაგებობები (ყაზარმები, შტაბები, საყარაულო შენობები და საგუშაგო კომპურები, საკონტროლო გამშვები პუნქტები, სასწავლო კლასები და ბიბლიოთეკები, კლუბები, ლაზარეთები და სამედიცინო პუნქტები);
4. საინჟინრო კომუნიკაციები (წყალმომარაგების, გაზმომარაგების, საკანალიზაციო სისტემები და სხვა საინჟინრო ნაგებობები);
5. საპარკო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა (ავტო-გასამართი სადგურები, ავტოსადგომები, ბოქსები, ავტო-სამრეცხაოები, საამქროები და სარემონტო პუნქტები);
6. სასაწყობო მეურნეობა (საწყობები და საცავები);
7. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურა (ღია და დახურული სტადიონები, სპორტული დარბაზები, საცურაო აუზები და წინაღობათა ზოლები);
8. საცხოვრებელი ბინები.

5.6. საერთაშორისო სამშვიდობო მისიები (29 06)

საერთაშორისო სამშვიდობო მისიების პროგრამა ითვალისწინებს საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში ნატოს ეგიდით წარმოებულ მტკიცე მხარდაჭერის მისიაში (RSM) მონაწილეობას და ნატოს საპასუხო ძალებში (NRF) ქართული ქვედანაყოფის ჩართულობას; ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგისა და ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში აქტიური თანამშრომლობა და ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ მისიებში (ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა - EUTM RCA და მალი - EUTM Mali), ასევე, ავღანეთში გაეროს მხარდაჭერის მისიაში (UNAMA) მონაწილეობას (2018 წლის იანვრამდე).

პროგრამა მოიცავს საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების მონაწილეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს (ქვედანაყოფების პერსონალის საზღვარგარეთ მივლინების, იმუნიზაციის, სამედიცინო და სანივთე ქონების შეძენის და ინტერნეტის მომსახურების ხარჯებს). ასევე, გადასროლისწინა მომზადებისთვის საჭირო საბრძოლო მასალის შეძენის ხარჯებს.

კოდი	დასახელება	2016	2017	2018	2019	2020	2021
		(ფ)	(გ)	(პ)	(პ)	(პ)	(პ)
		მილიონი ლარი					
2906	საერთაშორისო სამშვიდობო მისიები	38.96	35.27	35.27	35.27	35.27	35.27
	• ავღანეთში ნატოს სამშვიდობო მისიაში (RSM) მონაწილეობა						
	• ნატოს რეაგირების ძალებში (NRF) მონაწილეობა						
	• მალიში ევროკავშირის სამხედრო საწვრთნელ მისიაში (EUTM Mali) მონაწილეობა						
	• ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის სამხედრო საწვრთნელ მისიაში (EUTM RCA) მონაწილეობა						
	• ავღანეთში გაეროს მხარდაჭერის მისიაში (UNAMA) მონაწილეობა						

სავალდებულო ხარჯები

საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობას საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებსა და სადამკვირვებლო/საწვრთნელ მისიებში უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია საქართველოს ეროვნული ინტერესების მხარდაჭერაში, როგორცაა ევროატლანტიკური ინტეგრაცია, ნატოსთან თავსებადობის გაზრდა და ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავება. შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო დააფინანსებს ამ მოთხოვნებს, რათა უზრუნველყოს სტრუქტურული ქვედანაყოფების სრული მზადყოფნა აღნიშნულ ოპერაციებში მონაწილეობისთვის. დამატებით, საერთაშორისო მისიებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ხარჯის დასაფარად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო პერიოდულად იღებს დახმარებას პარტნიორებისაგან. მაგალითად, ავღანეთში გადასროლასთან დაკავშირებულ ხარჯებს ამჟამად ფარავს აშშ და გერმანია.

5.7. სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება (29 07)

სამხედრო სამრეწველო კომპლექსის განვითარება (2907-01) წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“-ს სრულ ბიუჯეტს და მოიცავს საწარმოო სიმძლავრეების გაზრდა-მშენებლობას და ექსპერიმენტული მოდელების შექმნას შემდგომში ექსპორტის გაზრდის მიზნით, ენერგოუსაფრთხოების სფეროში სამეცნიერო ტექნიკური სამუშაოების გაღრმავებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, სამეცნიერო ცენტრის განვითარებას, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის ოპერირებას, ახალი საწარმოს მშენებლობას, ვადაგასული, გამოუყენებელი საბრძოლო მასალების, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის დახარისხებას, შეფასებას, უტილიზაციას, ფეთქებადი ნივთიერებების გადამუშავებას, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო, საწარმოო-ტექნოლოგიურ სამუშაოებს, ჰუმანიტარული განაღმვითი საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფას, კოორდინაციას, ტროტილის გამოდნობას საარტილერიო ჭურვებიდან; საავიაციო რაკეტებისა და ბომბების გაუვნებელყოფას, გადამუშავებას და განადგურებას.

სამეცნიერო კვლევა სამთო ინჟინერიაში (2907-02) წარმოადგენს სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის სრულ ბიუჯეტს და მოიცავს საბადოთა რაციონალური ათვისების ტექნოლოგიების კვლევას და სამთო საწარმოთა საინვესტიციო პროექტების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებას; სამთო-მომპოვებელი ობიექტების ეკოლოგიურ უსაფრთხოებას; ქანების, საშენი მასალების თვისებების, კვლევას და ხარისხის კონტროლს; სამრეწველო ფეთქებადი მასალების ბრუნვასთან დაკავშირებული ნორმატიული დოკუმენტაციის სრულყოფას; ფეთქებადი მასალების ექსპერტიზას, ქართული წარმოების ჯავშანმანქანის გამოცდა-აფეთქების ზემოქმედებისა და დაცვის დონის შეფასებას ნატოს სტანდარტების მიხედვით; სხვადასხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობების გაანგარიშება და დაპროექტების მეთოდების სრულყოფას.

სამეცნიერო კვლევა გამოყენებით ფიზიკაში, ფიზიკურ ქიმიასა და ელექტრონიკაში (2907-03) წარმოადგენს სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის სრულ ბიუჯეტს და მოიცავს ნახევარგამტარული და ოპტოელექტრონიკის ხელსაწყოების, კომპოზიციური მასალებისაგან სხვადასხვა დანიშნულების კერამიკული ნაკეთობების და მართვის ელექტრონული სისტემების შექმნას; ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, ასევე ახალი საბაზო ტექნოლოგიების დამუშავებას და ახალი მასალების მიღებას, ნაკეთობების, ხელსაწყო-მოწყობილობების და სისტემების შექმნას.

სამეცნიერო კვლევა მანქანათმშენებლობაში (2907-04) წარმოადგენს სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის სრულ ბიუჯეტს და მოიცავს რთულ მექანიკურ სისტემებსა და მექანიზმებში მიმდინარე დინამიკური პროცესების მათემატიკურ მოდელირებას და რიცხვით ექსპერიმენტებს, სხვადასხვა სახის დატვირთვების გაანგარიშების მეთოდების დამუშავებას; მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას; ქვეყნის ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით, წვრილფერმერული მეურნეობებისათვის სხვადასხვა სახის მოწყობილობებისა და იარაღების დამუშავებას და საპილოტე ნიმუშების დამზადებას.

სამეცნიერო კვლევა გამოყენებით ოპტიკაში (2907-05) წარმოადგენს სსიპ ინსტიტუტი „ოპტიკის“ სრულ ბიუჯეტს და მოიცავს ელექტრომაგნიტური გამოსხივების უტილიზაციას; ოპტიკური სუბიექტების გათვლას, გაზომვას, ოპტიკური სისტემების შექმნას, მოდელირებას, გაჩარხვა-

გაპრიალებას და შემდგომი დიელექტრიკული ან ანტირეფლექტური საფარით დაფარვას; ასევე ენერგოუსაფრთხოების მიმართულებით კვლევას.

სამეცნიერო კვლევა მეტალურგიასა და მასალათმცოდნეობაში (2907-06) წარმოადგენს სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის სრულ ბიუჯეტს და მოიცავს კვლევითი და ტექნოლოგიური საქმიანობის სრულყოფას; ბუნებრივი რესურსების და წარმოების ნარჩენების რაციონალურ გამოყენებას.

სამეცნიერო კვლევა მიკრო და ნანო ელექტრონულ ტექნოლოგიაში (2907-07) წარმოადგენს სსიპ მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტის სრულ ბიუჯეტს და მოიცავს სხვადასხვა დანიშნულების მიკრო და ნანო ელექტრონული მოწყობილობების და მათი ელემენტების შექმნას, ნაკეთობების ტექნოლოგიური მარშრუტების, უნიფიცირებული ფოტო-მაბლონების დამზადებას, მათი პარამეტრების დადგენას, გამოცდას და ნახევარგამტარული მოწყობილობების უნიფიცირებული ტექნოლოგიის შემუშავებას.

კოდი	დასახელება	2016	2017	2018	2019	2020	2021
		(ფ)	(გ)	(პ)	(პ)	(პ)	(პ)
		მილიონი ლარი					
2907	სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება	35.19	28.32	28.32	28.32	28.32	28.32
2907-01	სამხედრო სამრეწველო კომპლექსის განვითარება	29.13	22.97	22.97	22.97	22.97	22.97
2907-02	სამეცნიერო კვლევა სამთო ინჟინერიაში	1.71	1.53	1.53	1.53	1.53	1.53
2907-03	სამეცნიერო კვლევა გამოყენებით ფიზიკაში, ფიზიკურ ქიმიაში და ელექტრონიკაში	1.06	0.90	0.90	0.90	0.90	0.90
2907-04	სამეცნიერო კვლევა მანქანათმშენებლობაში	0.60	0.58	0.58	0.58	0.58	0.58
2907-05	სამეცნიერო კვლევა გამოყენებით ოპტიკაში	0.52	0.36	0.36	0.36	0.36	0.36
2907-06	სამეცნიერო კვლევა მეტალურგიასა და მასალათმცოდნეობაში	1.48	1.40	1.40	1.40	1.40	1.40
2907-07	სამეცნიერო კვლევა მიკრო და ნანო ელექტრონულ ტექნოლოგიაში	0.68	0.58	0.58	0.58	0.58	0.58

5.8. თავდაცვის შესაძლებლობის შენარჩუნება / განვითარება (29 08)

საჰაერო თავდაცვის სისტემის განვითარების (2908-01) ქვეპროგრამა მოიცავს საქართველოს სამთავრობო პროგრამით გათვალისწინებულ საჰაერო თავდაცვის სისტემის განვითარებისათვის საჭირო ხარჯს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებული ძალების საჰაერო სივრცის კონტროლისა და საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესებას.

საბრძოლო მხარდაჭერის შესაძლებლობების შენარჩუნება/განვითარება (2908-02) - ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოს შეიარაღებული ძალების შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის შენარჩუნებას და მოდერნიზაციას, კერძოდ საქართველოს შეიარაღებული ძალების ჰაერსაწინააღმდეგო და ჯავშანსაწინააღმდეგო, სარაკეტო და საარტილერიო სისტემების, დაზვერვის, თვალთვალისა და რეკონოსირების შესაძლებლობების, საჰაერო-სატრანსპორტო და კონტრმობილურობის საშუალებების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის საჭირო ხარჯებს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მხარდაჭერის შესაძლებლობების გაუმჯობესებას.

კოდი	დასახელება	2016	2017	2018	2019	2020	2021
		(ფ)	(გ)	(პ)	(პ)	(პ)	(პ)
		მილიონი ლარი					
2908	თავდაცვის შესაძლებლობების შენარჩუნება / განვითარება	82.38	78.00	98.12	52.47	72.26	72.44
2908-01	საჰაერო თავდაცვის სისტემის განვითარება (SG)	82.38	78.00	52.00			
2908-02	საბრძოლო მხარდაჭერის შესაძლებლობების შენარჩუნება/განვითარება			46.12	52.47	72.26	72.44

სავალდებულო ხარჯები

საჰაერო თავდაცვის სისტემის განვითარება წარმოადგენს საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებისთვის საჭირო ხარჯები სავალდებულო ხასიათისაა.

საბიუჯეტო (2018) და შემდეგი სამი წლის (2019-2021) სახელმძღვანელო პრიორიტეტები:

1. საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების შენარჩუნება;
2. საჰაერო თავდაცვის მართვის სისტემის მოდერნიზაცია;
3. დაზვერვის, თვალთვალის და რეკონოსირების შესაძლებლობების გაუმჯობესება;
4. საჰაერო-სატრანსპორტო შესაძლებლობების შენარჩუნება;
5. საარტილერიო სისტემების შენარჩუნება და მოდერნიზაცია;
6. ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობების განვითარება;
7. სამხედრო-საინჟინრო (კონტრმობილურობა) შესაძლებლობების გაუმჯობესება.

5.9. ლოგისტიკური უზრუნველყოფა (29 09)

ლოგისტიკის მართვა (2909-01) მოიცავს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის შრომის ანაზღაურებას. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლოგისტიკური უზრუნველყოფის შესაძლებლობების შენარჩუნება/გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ მოიცავს ლოგისტიკის მართვას, სარემონტო შესაძლებლობებს, ქვედანაყოფების ლოგისტიკურ მომარაგებას და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სატრანსპორტო მომსახურებას; ასევე, აღჭურვილობის, შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო შესაძლებლობებს.

ლოგისტიკური მხარდაჭერა (2909-02) გულისხმობს საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცრების, სამხედრო-საკონტრაქტო და სამხედრო-სავალდებულო მოსამსახურეების და რეზერვისტების ლოგისტიკურ მხარდაჭერას (შენახვასა და მომზადებას).

ქვეპროგრამა მოიცავს მშრალი ულუფის და სასმელი წყლის ხარჯებს, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებს, საბრძოლო მასალის შეძენის (გარდა საბრძოლო მომზადებისთვის), ასევე მანქანა-დანადგარების, ინვენტარის და კვების, რეცხვის, ქიმიკატების და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯს, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯს, სამსახურებრივი ცხოველების მოვლა-შენახვასთან და აღკაზმულობასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ქვეპროგრამაში გაერთიანებულია საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციის და მიმდინარე რემონტისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯები.

ქვეპროგრამაში შენარჩუნებისა და რემონტის კუთხით, გათვალისწინებულია ტრანსპორტის, ავტო და სპეციალური ტექნიკის ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვისა და რემონტის ხარჯები. აღნიშნული ქვეპროგრამა დამატებით ითვალისწინებს სამხედრო (საბრძოლო) ტექნიკის რემონტისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯებს, ხოლო გადაადგილების და ტრანსპორტის მიმართულებით, ავტო და სპეციალური ტექნიკისა და საწვავ/საპოხი მასალების შეძენის და ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) მომსახურების ხარჯებს.

დამატებით, ქვეპროგრამაში გაერთიანებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების კომუნალური უზრუნველყოფის ხარჯები, როგორცაა ელექტროენერჯის, წყლის, ბუნებრივი და თხევადი აირის, კანალიზაციისა და ასინილიზაციის ხარჯები. ასევე, ქვეპროგრამა ითვალისწინებს შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯებს.

საბრძოლო მზადყოფნის (GDRP) ლოგისტიკური უზრუნველყოფა (2909-03) მოიცავს საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამაში (GDRP) მონაწილე სამანევრო ბატალიონების უნიფორმისა და ინდივიდუალური აღჭურვილობის და საბრძოლო მომზადებისათვის საჭირო საბრძოლო მასალის შეძენის ხარჯებს.

კოდი	დასახელება	2016	2017	2018	2019	2020	2021
		(ფ)	(გ)	(პ)	(პ)	(პ)	(პ)
		მილიონი ლარი					
2909	ლოგისტიკური უზრუნველყოფა	114.00	158.38	155.16	149.95	150.16	154.64
2909-01	ლოგისტიკის მართვა	15.50	25.22	25.22	25.22	25.22	25.22

2909-02	ლოგისტიკური მხარდაჭერა	98.50	128.80	125.58	120.37	120.58	125.06
2909-03	საბრძოლო მზადყოფნის (GDRP) ლოგისტიკური უზრუნველყოფა		4.36	4.36	4.36	4.36	4.36

სავალდებულო ხარჯები

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო ხარჯები მოიცავს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის პერსონალის შრომის ანაზღაურებას. სავალდებულო ხარჯებში გადის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების კომუნალური მომსახურება.

საგარეო სამხედრო ფონდი (FMF)

აშშ-ის საგარეო სამხედრო ფონდით ხორციელდება საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამაში (GDRP) მონაწილე საბრძოლო ქვედანაყოფების აღჭურვა და მათი მომზადება აშშ-ის ინსტრუქტორების მიერ. დამატებით, დაგეგმილია საბრძოლო მომზადების ცენტრის აღჭურვა თანამედროვე სიმულაციური და საწვრთნელი ტექნოლოგიებით.

საბიუჯეტო (2018) და შემდეგი სამი წლის (2019-2021) სახელმძღვანელო პრიორიტეტები

1. საბრძოლო და საბრძოლო მხარდაჭერის ქვედანაყოფების წვრთნებისთვის აუცილებელი ინდივიდუალური აღჭურვილობისა და საბრძოლო მასალების შეძენა;
2. ჯავშანტექნიკის და სხვა საბრძოლო ტექნიკის სათადარიგო ნაწილების შეძენა;
3. სატრანსპორტო ტექნიკის სათადარიგო ნაწილების შეძენა და რემონტი;
4. საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების 2-ხიდიანი/7-ტონიანი და 3-ხიდიანი/11-ტონიანი სატვირთო-საავტომობილო ტექნიკის ჩანაცვლება;
5. მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილების და საინჟინრო დანიშნულებისთვის განკუთვნილი სპეციალური ტექნიკის შეძენა.

დასკვნა

თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელო მიზნად ისახავს 2018 წლის ბიუჯეტის შემუშავების პროცესის მხარდაჭერას, პროგრამის ხელმძღვანელების, პროგრამის კოორდინატორებისა და ბიუჯეტის განმკარგავებისთვის პროგრამების შესამუშავებლად საჭირო რეკომენდაციებისა და მითითებების უზრუნველყოფით. დოკუმენტი ასევე ასახავს ინფორმაციას 2018-2021 წლების პროგრამების განსავითარებლად.

პროგრამის ხელმძღვანელების მიერ თავდაცვის პროგრამების შემუშავების მხარდასაჭერად, დოკუმენტი მოიცავს ფინანსური ინფორმაციის ანალიზს, რაც გულისხმობს როგორც გასული წლების სტატისტიკას, ასევე სამომავლო წლების საპროგნოზო მაჩვენებლებს. თავდაცვის სტრატეგიული და შიდაუწყებრივი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, დოკუმენტი განსაზღვრავს თავდაცვის ძირითად მიმართულებებს, რომელთა მხარდასაჭერად შემუშავდა პროგრამების სტრუქტურა.

სახელმძღვანელო განახლდება ყოველწლიურად ეროვნული დონის თავდაცვის დაგეგმვის დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ასევე პროგრამების შემუშავების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის და პროგრამული ბიუჯეტის პროცესის ეფექტიანად განხორციელების მიზნით.



თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტი

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

<http://mod.gov.ge>